PFM
POLSKIE FORUM MIGRACYJNE



Rejestracja dziecka cudzoziemskiego urodzonego w Polsce – język gruziński

პოლონეთში დაბადებული უცხოელი ბავშვის რეგისტრაცია

პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაბადებული ბავშვი იღებს პოლონურ დაბადების მოწმობას. ბავშვის დაბადება უნდა განაცხადდეს დაბადების ადგილისთვის შესაბამის სამოქალაქო რეესტრის სამსახურში (USC) - სავალდებულოა რაიონის გათვალისწინება. სამსახური დაარეგისტრირებს ბავშვის დაბადებას და მშობლებს გადასცემს მის პირად ნომერს (PESEL), თუ ერთ-ერთ მშობელს მაინც აქვს ასეთი ნომერი.

როდის უნდა განაცხადოთ ბავშვის დაბადების შესახებ?

დაბადების შესახებ ბარათის გაცემიდან, რომელსაც გასცემს მშობიარობის მიმღები პირი (მაგ. ექიმი ან ბებიაქალი) და შემდეგ (არაუგვიანეს 3 დღის ვადაში) გადასცემს შესაბამის სამსახურს, 21 დღის ვადაში მშობლებმა უნდა მიმართონ სამოქალაქო რეესტრის სამსახურს. როგორც წესი, სამშობიაროდან გასვლამდე დედას აძლევენ მოწვევას, სადაც მითითებულია ვიზიტის თარიღი და რეესტრის ოფისის მისამართი, სადაც ახალშობილი უნდა დარეგისტრირდეს.

თუ 21 დღის ვადაში არ განაცხადეთ ბავშვის დაბადების შესახებ რეესტრის სამსახურს, სამსახურის უფროსი თავად შეარჩევს თქვენი შვილის სახელს და დაარეგისტრირებს მის დაბადებას.

ვინ წარადგენს ასეთ განაცხადს?

16 წელს გადაცილებული და სრული ქმედუნარიანობის მქონე ახალშობილის დედა ან მამა. სხვა შემთხვევაში, ეს შეიძლება გაკეთდეს კანონიერი წარმომადგენლის (მაგალითად, მშობლის) ან დედის მეურვის მიერ.

რა საბუთების მომზადებაა საჭირო?

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის მოწმობა ან პასპორტი),
- თუ საქმეს მინდობილი პირის მეშვეობით აგვარებთ - მოამზადეთ მინდობილობა.

უცხოელები, რომლებიც დაქორწინდნენ პოლონეთის ფარგლებს გარეთ, ბავშვის რეგისტრაციისას წარმოადგენენ ქორწინების მოწმობის დედანს და ასევე ნაფიცი თარჯიმნის მიერ შესრულებულ პოლონურ ენაზე თარგმანს. უცხოელი მშობლების ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, იმისთვის, რომ ბავშვის დაბადების მოწმობა შეიცავდეს ყველა საჭირო მონაცემებს, აუცილებელია წარმოადგინოთ **მშობლების დაბადების მოწმობები ნაფიცი თარჯიმნის მიერ შესრულებულ პოლონურ ენაზე თარგმანთან ერთად**. შესაძლოა გაიცეს დაბადების მოწმობა არასრული ინფორმაციით, მაგრამ მომავალში მონაცემების დამატება დაკავშირებული იქნება დაწესებულ გადასახადებთან.

ბავშვის მამამ წინასწარ უნდა წარადგინოს მამობის აღიარების დეკლარაცია, თუ ის ბავშვის დედასთან ქორწინებაში არ იმყოფება. მხოლოდ ამის შემდეგ რეესტრის სამსახურის უფროსს შეუძლია მიიღოს მამის დაბადების დეკლარაცია და შეიყვანოს მისი მონაცემები შვილის დაბადების მოწმობაში. ასეთი დეკლარაციის გაკეთება შესაძლოა:

- ნებისმიერი სამოქალაქო რეესტრის ხელმძღვანელის მონაწილეობით
- პოლონეთის რესპუბლიკის კონსულის მონაწილეობით (თუ ერთ-ერთ მშობელს აქვს პოლონეთის მოქალაქეობა)
- სასამართლოში.

ბავშვის დედამ უნდა დაადასტუროს დეკლარაცია მამის მიერ საბუთების წარდგენის დღიდან 3 თვის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის აღიარებისთვის საჭიროა ორივე მშობლის თანდასწრება (აუცილებელია ორივე მშობლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები და დაბადების მოწმობები პოლონურად ნათარგმნი).

როგორ მიმდინარეობს რეგისტრაციის პროცესი?

1. სამოქალაქო რეესტრის სამსახურის უფროსი ამზადებს ოქმს, რომელშიც მითითებული იქნება ბავშვისა და მშობლების მონაცემები. მას ხელს თქვენ აწერთ და რეესტრის სამსახურის უფროსი;
2. თქვენი განცხადების და დაბადების მოწმობის საფუძველზე რეესტრის თანამშრომელი ადგენს დაბადების მოწმობას;
3. გადმოქცემთ შემდეგ დოკუმენტებს:

- დაბადების მოწმობის ერთი უფასო შემოკლებული ამონაწერი (გახსოვდეთ, რომ დაგჭირდებათ დაბადების მოწმობის სრული ამონაწერი შემდეგი ნაბიჯებისთვის: მოქალაქეობის აღიარება, ყოფნის ლეგალიზაცია და ა.შ.),
- შეტყობინება PESEL პირადი ნომრის მინიჭების შესახებ (თუ ბავშვმა მიიღო ეს ნომერი),
- ცნობა ბავშვის მისამართზე ჩაწერის შესახებ (თუ ბავშვი ჩაწერილია).

დაბადების ერთი შემოკლებული ამონაწერის გაცემა და ბავშვის ჩაწერა უფასოა. თუ გჭირდებათ მეტი ამონაწერი, თქვენ უნდა გადაიხადოთ დადგენილი საზღაური.

ბავშვის სახელი

არ არსებობს სახელების ფორმალური სია, რომლითაც შეგიძლიათ დაარქვათ თქვენს შვილს, მაგრამ გაითვალისწინეთ შეზღუდვები:

- თქვენ არ შეგიძლიათ თქვენს შვილს 2-ზე მეტი სახელი დაარქვათ,
- სახელი არ შეიძლება იყოს დასაცინი ან უხამსი,
- დაუშვებელია სახელის შემოკლებული ფორმა.

თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ უცხოური სახელი ან სახელები; ეს შეიძლება იყოს სახელი, რომელიც მკაფიოდ არ მიუთითებს სქესზე, მაგრამ ჩვეულებრივ ასოცირდება მოცემულ სქესთან.

 თუ სახელები არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, სამოქალაქო რეესტრის სამსახურის უფროსს შეუძლია უარი თქვას ამ სახელების მიღებაზე და თავად აირჩევს ბავშვის სახელს. **ამის შემდეგ თქვენ გაქვთ 14 დღე ადმინისტრაციული გადაწყვეტილების ვოევოდასთან გასაჩივრებისთვის.** საჩივარი ჩააბარეთ სამოქალაქო რეესტრის სამსახურის უფროსს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება.

საზოგადოებრივი ბებიაქალის მოვლა

ყველა დედას და ახალშობილს შეუძლია და უნდა ისარგებლოს, პირველადი ჯანდაცვის ფარგლებში (POZ), **ადრე შერჩეული საზოგადოებრივი ბებიაქალის** (POZ ექთანის) მომსახურებით, რომელიც მშობიარობამდე და მის შემდეგ უწევს სამეანო და გინეკოლოგიურ ზრუნვას ქალბატონებს და ზრუნვას ახალშობილებზე სიცოცხლის მეორე თვემდე.

ბებიაქალის პატრონაჟული ვიზიტი ხდება მას შემდეგ, რაც დედა და ბავშვი საავადმყოფოდან სახლში დაბრუნდებიან. ჯერ კიდევ საავადმყოფოში ყოფნისას, ყველა დედამ უნდა შეავსოს დეკლარაცია და მიუთითოს ჯანდაცვის კლინიკა, რომელშიც სურს იყოს აღრიცხვაზე ბავშვთან ერთად. საავადმყოფო შერჩეულ კლინიკაში აგზავნის განაცხადს ბავშვის დაბადების შესახებ და ვაქცინაციის ბარათს. სახლში დაბრუნების შემდეგ საკმარისია დარეკოთ კლინიკაში და დანიშნოთ შეხვედრა საზოგადოებრივ ბებიაქალთან.

ბებიაქალის პირველი ვიზიტი უნდა მოხდეს შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 48 საათისა – ანუ ინფორმაციის, რომ დედა და ბავშვი უკვე სახლში არიან. უნდა გვახსოვდეს, რომ პატრონაჟული ვიზიტი სავალდებულოა და არ შეიძლება გაუქმდეს. ჯანდაცვის ეროვნული ფონდის დებულების შესაბამისად, საზოგადოებრივი ბებიაქალი მშობიარობიდან პირველი 6 კვირის განმავლობაში 4-6-ჯერ მოინახულებს ბავშვს და დედას.

UNIA EUROPEJSKA
FUNDUSZ AZYLU,
MIGRACJI I INTEGRACJI

POLSKIE FORUM MIGRACYJNE

უსაფრთხო სადგური
პროექტი თანადაფინანსებულია
თავშესაფრის, მიგრაციისა და
ინტეგრაციის ფონდის ეროვნული
პროგრამის ფარგლებში

Fundacja Polskie Forum Migracyjne
ul. Szpitalna 5/14, Warszawa
+48 692 913 993
info@forummigracyjne.org
www.forummigracyjne.org

წარდგენილ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორი. ევროკომისია და შინაგან საქმეთა და ადმინისტრაციის სამინისტრო არ აგებენ პასუხს მოწოდებული ინფორმაციის გამოყენებაზე.